0178, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქუჩა N7ბ, ოფისი N7; ტელ: 032 2 06 03 03
მობ: (+995) 591230602 ; (+995) 555606226, Email: Nurserygeorgia@gmail.com ;
LLcsilvagroup@gmail.com ; Sabakobakhidze94@gmail.com 0178, Georgia, Tbilisi, Ts. Dadiani str. 7b, office N7

`

კ-3 -ის კოეფიციენტის ათვისების გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი

DENDROLOGICAL PROJECT OF COEFFICIENT K3 ASSIMILATION

- პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.2
- Considering the project, landscaping coefficient of K-3=0.2

თარიღი: 03.11.2023

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ბარისახო, N 11ბ

საკადასტრო კოდი: N 01.11.01.017.162

ნაკვეთის მესაკუთრე: შ.პ.ს „3G-Georgian Global Group" სნ: 400029036

დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ნაკვეთის მთლიანი ფართობი: 3584 კვ.მ

ნაკვეთის კ-3-ის ფართობი: კ-3=0.2= 717 კვ.მ

ტერიტორიაზე განთავსებულია მწვანე ნარგავების რაოდენობა - 20
იხ. შ.პ.ს **"სილვა გრუპი"**-ის ექსპერტის დავით დიღმელაშვილის საექსპერტო დასკვნა - მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება. (ბრძ. N 5-55 14. 09. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები სამშენებლო სამუშოების წარმოებას არ უშლის ხელს.

კ-3 ის პროექტით მწვანე ნარგავების დარგვა - 20
კ-3 ის პროექტით გათვალისწინებულია მწვანე ნარგავების მოჭრა - 0
კ-3 ის პროექტით გათვალისწინებულია მწვანე ნარგავების გადარგვა - 0

გასამწვანებლად შემოთავაზებული 20 ძირი მცენარე შერჩეულია ქალაქ თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

დაგეგმილი დასარგავი ნერგების სახეობები, რაოდენობა, აღწერილობა და პარამეტრები - 20 ძირი მწვანე ნარგავი

სახეობები და რაოდენობა:

- უნგრული ცაცხვი (TILIA TOMENTOSA) - 5 ძირი
- გრძელფოთოლა იფანი (FRAXINUS ANGUSTIFOLIA) - 5 ძირი
- იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA) - 5 ძირი
- მინდვრის ნეკერჩხალი (ACER CAMPESTRE) - 5 ძირი

აღწერილობა და პარამეტრები:

- მცენარის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში
- მთავარი ღერო სწორი ფორმის;
- ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) - არანაკლებ 0.18 მ;
- სიმაღლე, ფოთლოვანი - არანაკლებ 3.5 მ;
- სიმაღლე, წიწვოვანი - არანაკლებ 3 მ;
- ფესვის ყელიდან 1 მ სიმაღლეზე ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0.7 მ;
- ვარჯის განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1.8 მ სიმაღლეზე;
- ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.
- არანაკლებ 65 ლიტრი (CTL) ქოთანში დაფესვიანებული.

დარგვის / გადარგვის პერიოდი: მცენარის არავეგეტაციო პერიოდი

მოვლა-პატრონობის პერიოდი: პროექტის შესრულების დაწყებიდან (ხე-მცენარეთა დარგვიდან) 3 წელი.

3 (სამი) წლიან მოვლა-პატრონობაზე პასუხისმებელი პირი: **შ.პ.ს „3G-Georgian Global Group" სნ: 400029036**

გასამწვანებლად შემოთავაზებული 20 ძირი ნერგი და ტერიტორიაზე არსებული 20 ძირი მწვანე ნარგავი სრულად ითვისებს კ-3_ის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს - **კ-3=0.2= 717 კ3.მ**

მინდვრის ნეკერჩხალი (Acer Camoreste)

სასიცოცხლო ფორმა - ფოთლოვანი ხე

დახასიათება: სწრაფად მზარდი, ყინვაგამძლე, გვალვაგამძლე, ქარისადმი მდგრადი, მზის და სინათლის მოყვარული, ზომიერად ჩრდილის ამტანი, ფოთოლმცვივანი. მცენარე ადვილად ეგუება ყველა ტიპის ნიადაგს, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ფხვიერ, ქვიშიან, თიხნარ და ზომიერად ტენიან, ნეიტრალურ, ტუტე ნიადაგს.







Scan QR code

გრძელფოთოლა იფანი (Fraxninus Angustifolia)

სასიცოცხლო ფორმა - ფოთლოვანი ხე-მცენარე

დახასიათება: სწრფად მზარდი, გვალვაგამძლე, ყინვაგამძლე, ფოთოლმცვივანი, სინათლის მოყვარული და ნახევრად ჩრდილის მოყვარული. უყვარს ზომიერი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი, აქვს რბილი მერქანი, მუქი რუხი და ნახეთქებიანი ქერქი.



Scan QR code





იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA)

სასიცოცხლო ფორმა - წიწვოვანი ხე-მცენარე, მარადმწვანე

დახასიათება: სწრაფად მზარდი, გვალვა გამძლე, ყინვა გამძლე, სინათლის მოყვარული, ნიადაგის მიმართ პრეტენზიული არ არის, ეგუება მშრალ, მწირ და კლოვან ნიადაგს.









Scan QR code



Scan QR code

უწგრული ცაცხვი (Tilia tomentosa)

სიცოცხლის ფორმა - ფოთლოვანი ხე

დახასიათება: ნელა მზარდი, გვალვაგამძლე,





ქარისადმი მდგრადი, ზომიერად ჩრდილის მოყვარული, ფოთოლმცვივანი, გამძლეა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ. მცენარე ნიადაგის მიმართ პრეტენზიული არ არის, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ტენიან ნაყოფიერ და კარგად დრენირებულ ნიადაგს, ასევე მარტივად ადაპტირდება სხვა გარემო პირობებთან და გვალვის მიმართ საუკეთესო გამძლეობა გააჩნია.

ხე–მცენარის დარგვა, ნიადაგის მომზადება და შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ ეტაპზე დასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დასარგავი მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად;
2. გადასარგავ ადგილზე ამოღებული უნდა იქნას ორმო; დასარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
4. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
5. დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეც ტექნიკა;
6. ნერგის ქოთნიდან ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
7. ნერგის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
9. კომით დარგვისას ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
10. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 2 მხრიდან;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.







481900 481950

4630700 4630650

ტოპოგეგმა 01011014

N W E S

011101017113

011101012084

01.11.01.017.162
3584 33.8

481900 481950

პირობითი აღნიშვნები

ნაკვეთის საზღვრებზე მითითებულია წარწერების მხრე

ობიექტისთვისგანკუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრები

შენობა

მეზობელი მიწის ნაკვეთების საზღვრები

500 სიმაღლის წერტილი

ელ. ბოძი

ბუჩქი

ხეხილოვანი ხე

ქვაბობი

ხე

ტელეფონის ხე

ბეტონის კიდური

მასშტაბის ზოლი

ფილიალის ზოლი

ელ. გადამცემი ხაზი

UTM ბადის კოორდინატები

ნაკვეთის მისამართი:
ქ. თბილისი, ბაირამაშვილის ქ. №16

შპს GMC

შემსრულებელი		შ. ლეონიძე
წარწერები		შპს 3D-Georgian Global Group 400029036
მიწაზომითი სამუშაოების დასრულების თარიღი	09.07.2023	მასშტაბი: 1:500

GMC LTD 404983916 GEORGIAN MEASURMENT COMPANY

საპროექტო ესტაკადა კონსტრუქციულად წარმოადგენს კონსოლზე მდგარ კონსტრუქციას, რომლის მზიდი კოლონები და საძირკვლის ბალიშები დაშორებულია არსაებული ხე-ნარგავებიდან 3 მეტრით. ნაჩვენებია რენდერებზე და სქემატურ ნახაზზე.
გამომდინარე აქედან არსებული ხე-ნარგავების მიმართ, №1 დან №8-ის ჩათვლით, დაცულია 3 მეტრიანი რადიუსი შენობის მზიდ კონსტრუქციამდე.









დამკვეთი: შპს "3G-Georgian Global Group" ს/ნ 400029036	პროექტის დასახელება: საკვები პროდუქტების საწყობი	სტატუსი	არქიტექტურული პროექტი
		სარევიზიო ისტორია	
შემსრულებელი: შპს "კამარა" ს/ნ 416349240	ნახაზის დასახელება: განმარტება	არქიტექტორი: დიანა რეხვიაშვილი	
		შეასრულა: დიანა რეხვიაშვილი	
მისამართი: თბილისი, ბარისახოს ქ, # 11 ბ ს/კ 01.11.01.017.162	2024 წ.	მასშტაბი:	
		ფორმატი: A-3	გვერდი: 45 / ფურცლების რაოდენობა: 47

არსებული გამწვანების გენგეგა



დამკვეთი: შპს 3G-georgian global group.ს6:40029036

შემსრულებელი: შპს "ფორესთ კომპანი" ს6:200272196

საპროექტო გამწვანების გეგმა



დამკვეთი: შპს 3G-georgian global group.ს6:40029036

შემსრულებელი: შპს "ფორესთ კომპანი" ს6:200272196

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი



უნგრული ცაცხვი
5 ცალი

იფანი გრძელფოთოლა
5 ცალი

იტალიური ფიჭვი
5 ცალი

მინდვრის ნეკერჩხალი
5 ცალი



დამკვეთი: შპს 3G-georgian global group.სნ:40029036

შემსრულებელი: შპს "ფორესთ კომპანი" სნ:200272196

აქსონომეტრიული ხედი





აქსონომეტრიული ხედი





გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: **შ.პ.ს „3G-Georgian Global Group" სნ: 202268134**

საპროექტო ტერიტორია
საკადასტრო კოდი: **N 01.11.01.017.162**
მიწის ნაკვეთის ფართი: **3584 კვ.მ**
მისამართი: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ბარისახო, N 17ა**

ნებართვის გამცემი ორგანო:
ქ. თბილისი მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი - **კ-3=0.2= 717 კვ.მ**

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: **2025**

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა, რაოდენობა და პარამეტრები - **20 ძირი**:

- **უნგრული ცაცხვი (TILIA TOMENTOSA) - 5 ძირი;**

სიმაღლე 3.5 მ-დან, გარშემოწერილობა 18 სმ-ზე მეტი, ხნოვანება 5-10 წლის.

- **გრძელფოთოლა იფანი (FRAXINUS ANGUSTIFOLIA) - 5 ძირი;**

სიმაღლე 3.5 მ-დან, გარშემოწერილობა 18 სმ-ზე მეტი, ხნოვანება 5-10 წლის.

- **იტალიური ფიჭვი (PINUS PINEA) - 5 ძირი;**

სიმაღლე 3.5 მ-დან, გარშემოწერილობა 18 სმ-ზე მეტი, ხნოვანება 5-10 წლის.

- **მინდვრის ნეკერჩხალი (ACER CAMPESTRE) - 5 ძირი**

სიმაღლე 3.5 მ-დან, გარშემოწერილობა 18 სმ-ზე მეტი, ხნოვანება 5-10 წლის.

გაშენებულ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი: **შ.პ.ს „3G-Georgian Global Group" სნ: 202268134**

გასაშენებელი ხე-მცენარის მოვლის პატრონობა: **3 (სამი) წელი**





საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	11. 11. 2023 წ
დასკვნის გაცემის თარიღი:	17. 11. 2023 წ
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/104-ვ

ფართობი (კვმ)	476.00
საკადასტრო კოდი N	01.11.01.017.162
მისამართი:	ქალაქი თბილისი , ჭუჩა ბარისახო , N 11ბ
მესაკუთრე შპს 3G-Georgian Global Group , ID ნომერი:400029036	
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი წუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების წუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით დიღმელაშვილის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-55 14. 09. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	20
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	20
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	51.0	9	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
2	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	39.8	9	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
3	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	54.5	10	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
4	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	51.3	12	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
5	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	62.1	16	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
6	მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens)	49.4	12	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

					სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
7	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	46.2	8	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
8	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	52.9	8	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
9	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	26.1	4	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
10	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	22.3	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
11	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	22.9	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
12	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	17.5	5.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
13	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	12.7	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
14	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	8.9	3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
15	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	28.7	6	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
16	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	8.9	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

17	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	9.2	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
18	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	11.8	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
19	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	24.8	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
20	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	40.1	6	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო

ტერიტორიაზე განთავსებული 20 ძირი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

თანდართული გადარგვის პროექტის განხორციელების საფუძველზე ხე-მცენარეები, რომელთაც ცხრილი N 1-ში შენიშვნის სახით უწერია შესაძლებელია გადარგვა და შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით გადარგვის შემდგომ ექვემდებარება გადარჩენას

ერთეულად მდგომი მცენარეებია 20 ძირი, კერძოდ:

1. *მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 7) ელდარის ფიჭვი - **Pinus eldarica.**

2. *წიწვოვან სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 6 ძირი:
   - 6 ძირი (N 1, N 2, N 3, N 4, N 5, N 6) მარადმწვანე კვიპაროსი - **Cupressus sempervirens.**

3. *ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა ჯგუფის ხე–მცენარე* 13 ძირი:
   - 13 ძირი (N 8, N 9, N 10, N 11, N 12, N 13, N 14, N 15, N 16, N 17, N 18, N 19, N 20) აღმოსავლური ბიოტა - **Platycladus orientalis.**
     იხ. ცხრილი N 1.

აღრიცხული 20 ძირი ხე–მცენარე არის ჯანსაღი.

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ჯანსაღი 20 ძირი ხე-მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 9 ძირი:

- 9 ძირი (N 10, N 11, N 12, N 13, N 14, N 16, N 17, N 18, N 19) აღმოსავლური ბიოტა - **Platycladus orientalis.**

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 11 ძირი:

- 1 ძირი (N 7) ელდარის ფიჭვი - **Pinus eldarica.**
- 6 ძირი (N 1, N 2, N 3, N 4, N 5, N 6) მარადმწვანე კვიპაროსი - **Cupressus sempervirens.**
- 4 ძირი (N 8, N 9, N 15, N 20) აღმოსავლური ბიოტა - **Platycladus orientalis.**

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით.

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუნწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო) წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).
2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახალგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი
დავით დიღმელაშვილი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების ამსახველი ფოტომასალა.

საკადასტრო კოდი:N 01.11.01.017.162;

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარისახო , N 11ბ

by LLC “Forest Company”






























8









41


















16



16



1
B





